

- ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის თარიღი 2019 წლის 31 ივლისიდან - 21 აგვისტოს 18:00 საათამდე
- აუცილებელია მობილობის მსურველმა თსა-ში ჩააბაროს ინგლისური ენის (B2 დონე) ტესტი. სარეგისტრაციოდ გადადით [ბმულზე](#)
- გამოცდა ჩატარდება 16 აგვისტოს, 12:00სთ-ზე. შედეგები გამოცხადდება 19 აგვისტოს.
- ტესტის დაწერა აუცილებელია დადგენილ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში არ განიხილება მობილობის კანდიდატის თსა-ში ჩარიცხვის საკითხი პორტალზე მობილობის უფლების მოპოვების მიუხედავად
- მობილობა განხორციელდება პირველიდან მეშვიდე სემესტრის ჩათვლით, აღიარება მოხდება 180 კრედიტის ფარგლებში
- ელექტრონულ პორტალზე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა მიმართოს თსა-ს დეკანატს განცხადებით და პირადი საქმის ასლით, 2 სექტემბრიდან 6 სექტემბრის ჩათვლით.
- მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
 1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
 2. სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასლი
 3. წვევამდელის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის)
 4. სრული ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან
 5. სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით გამოცემული ყველა ბრძანების ასლი/ამონაწერი
- აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობა/დადასტურება მობილობის მსურველისთვის მოხდება 12 სექტემბრამდე

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თსა-ს დეკანატს: ტელ: 0322 91 24 84